საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5748
29/09/2022

5748-21-2-202209291423

შპს „მინერალს“
მის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფ. გუმბრა

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4463 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმბრაში სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა და ბენტონიტური თიხა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში 3.1 თავში მითითებულია, რომ საწარმოს მუშაობის რეჟიმია 150 დღე/წელ დღეში 8 საათი (სულ 1 200 სთ/წელ). ამასთან, მე-5 თავში აღნიშნულია, რომ გაიზრდება სამსხვრევების მუშაობის საათური მაჩვენებლები. შესაბამისად, განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ საწარმოს სამუშაო რეჟიმი, მათ შორის, დღის განმავლობაში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობა და საწარმოს წარმადობა;
- ვინაიდან საწარმოში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში იზრდება სამუშაო საათების რაოდენობა, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, გაზრდილი სამუშაო საათების გათვალისწინებით, უახლოეს სახლამდე არსებული დაშორების გათვალისწინებით, ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტისა და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ.
- დოკუმენტში განხილული არ არის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო